

6. ღოლიძე

**ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვანთა
პრონოლოგიის გოგიერთი საპითისი
(ლითონის სამკაულის მიხედვით)**

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გვხვდება კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხები. ისინი წარმოდგენილია ორი სახეობით: ორმოსამარხები და ქვევრსამარხები (ოსუარიუმები). პირველში სხვადასხვა ფორმა-მოყვანილობის სამარხი ორმოები განირჩევა, რომლებშიც დაკრძალვის 3 წესი ფიქსირდება: ინჰუმაციური, კრემაციული და მეორადი დაკრძალვა. ჩვენი დაკვირვებით სამარხი ორმოს ფორმა მეტწილად შეესაბამება დაკრძალვის გარკვეულ წესს: მოგრძო და ოვალურ ორმოსამარხებში დაკრძალვა უმეტესად ინჰუმაციურია; ოთხკუთხა ორმოსამარხებში არის სრული ან ნაწილობრივი კრემაცია, ხოლო მრგვალ ორმოსამარხებში კი მეორადი დაკრძალვა. დაკრძალვის ეს უკანასკნელი წესი (მეორადი დაკრძალვა) გაბაგონებულია სამარხთა მეორე სახეობის ქვევრსამარხებისთვის.

მოგრძო ორმოსამარხებში მიცვალებული ესვენა პირადმა: ყულანუხვას N 2 სამარხი (10, გვ. 87), გაგრის N 12 სამარხი (4, გვ. 6), სოხუმის მთის ზოგიერთი სამარხი (3, გვ. 20), წითელი შუქურას N 77 სამარხი (10, გვ. 1-18). ოვალურ ორმოსამარხებში მიცვალებული ესვენა მარჯვენა მხარეს მოხრილ მდგომარეობაში თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ: წითელი შუქურა N 7 სამარხი (11, გვ. 10), გაგრის სამაროვნის ერთი სამარხი (4, გვ. 8), მოგუძირხვას ზოგიერთი სამარხი (5, გვ. 65).

ოთხკუთხა ფორმის სამარხებში სრული კრემაცია ეწყობოდა სამარხებისგან მოშორებით: დარჩენილი ძვლები და ინვენტარი თავსდებოდა სამარხის ძირზე; გუადისუს N 15 სამარხი (17, გვ. 14-45), სოხუმის მთის ზოგიერთი სამარხი (3, გვ. 19). ნაწილობრივი კრემაცია ეწყობოდა თვით სამარხში. ძვლები და ნივთები თავსდებოდა იქვე: გუადისუს N 17 სამარხი (10, გვ. 45), ტყვარჩელის (12, გვ. 19), ფიჩორის და მერხეულის სამაროვნები (დასაკრძალი მოედანი, 8, გვ. 115).

მრგვალ ორმოსამარხებში ხვდებოდა მეორადი დაკრძალვა: წითელი შუქურას N 18 სამარხი (10, გვ. 20), სოხუმის მთის ორმოსამარხები (3, გვ. 20). დაკრძალვის ეს წესი შეინიშნება სამარხის მეორე სახეობა – ქვევრსამარხებში (ოსუარიუმში), სადაც მიცვალებულს მეორადი დამარხვის წესით ათავსებდნენ ჭურჭელში:

წითელი შუქურას მე-8 ქვევრსამარხი, ზემო ეშერას (5, გვ. 200)¹, პრიმორსკოეს (7, გვ. 153), გაგრის (2, გვ. 10), ზვანდრიფშის (5, გვ. 18-20) და ყულანურხვას ქვევრსამარხები.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი ერთიანი კოლხური კულტურის ერთ-ერთი რეგიონია, სადაც აღმოჩენილი სამაროვნები გამოირჩევა არამარგო საბრძოლო-სამეურნეო იარაღების, არამედ სამკაულების სიმრავლით. სწორედ სამკაულების მრავალფეროვნებაზე და სიუხვეზე დაყრდნობით ახლებურად მოხდა მათი გააზრება, ზოგიერთი მათგანის გადათარიღებაც. შემუშავდა სამკაულის ზოგიერი ტიპის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური ცხრილი; დადგინდა გავრცელების არეალი; გაირკვა ურთიერთობების საკითხები მემობელ არქეოლოგიურ კულტურებთან და ამ გზით გაცნობიერდა კოლხური კულტურის და მასში შექმავალი ლოკალური ვარიანტების განვითარების ზოგიერთი სურათი.

ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაროვნების განხილვამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ინფორმაცია მოგვაწოდა.

ასეთი მრავალფეროვნება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ სხვადასხვა გვარის მიცვალებულებს, შესაბამისად, განსხვავებული წესით ასაფლავებდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამარხთა და დაკრძალვის წესის მრავალფეროვნებისა, სამარხული მასალა (კოლხური ცულები, მოხრილი დანები, თოხები, სეგმენტისებრი იარაღი, თიხისა და ბრინჯაოს ჭურჭელი) თითქმის ერთნაირია არა მარგო აფხაზეთის ტერიტორიისთვის, არამედ საერთოდ მთელი კოლხეთისათვის.

სამაროვნების სამკაულების აღწერილობამ ცხადყო რომ ამ ნივთების ფორმა, გეომეტრიული და გრაფიკული დეკორი მუსგად იმეორებს კოლხური კულტურის სხვა ნივთების - საბრძოლო და სამეურნეო იარაღების ორნამენტაციას. სამაჯურების, ფიბულების, საკისრე კირკლებისა თუ ჩიგების გრაფიკული გამოსახულება გვხვდება კოლხურ ცულებზე, შუბისპირებზე, სატევრებზე. ორნამენტაცია მეორდება ისეთ ნივთებზე, რომელთა თავდაპირველი წარმომავლობის წყარო, შესაძლოა, კოლხეთი არ იყოს (პინცეტი, ფიბულები?). ყოველივე ეს უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კოლხეთის სამეფოს

1. როგორც ჩანს, ერთი ამ სამარხის ნაშთი შესწავლილ იქნა 1976 წ. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ზემო ეშერაში. სამწუხაროდ შემორჩენილი იყო მხოლოდ სამარხი - ურნის ნაწილი მიცვალებულის ძვლების ნაშთებით. სამარხული ინვენტარიდან შემორჩა მხოლოდ მოყავისფროდ გამოძწვარი თხელკედლიანი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი და ბრინჯაოს რგოლის ნაწილი.

განუყოფელი ნაწილი, დასახლებული იყო კოლხური წარმომავლობის ცომებით.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სამთავროს გრავირირებული სარტყლებისა და კოლხური აბზინდების მოტივაცია სავსებით ერთნაირია-ჩარჩოში ჩასმული სხვადასხვა გეომეტრიული და გრაფიკული ღეკორით.

გემოთ აღნიშნულ სამაროვნებზე გამოვლენილი ნივთები კოლხური კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ისინი საყურადღებოა იმიტაც, რომ მოგიერთი ნივთი გვხვდება მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში და შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელს სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს. პირველ რიგში ესაა: დიდი ზომის სამაჯურები, ცხოველის თავის გამოსახულებიანი აბზინდები მუსგად, ანალოგიური ცხოველების გამოსახულებები კონუსურ ბალთებზე. მხოლოდ ამ რეგიონში დასტურდება. სხვადასხვა ჭვირული ნივთები: სამაჯური, ფიბულა, ქინძისთავი, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას რომბულრკალიან ფიბულაზე, რომელიც რომბულთაიან საკისრე რგოლებთან ერთად დასაბამს აძლევს ცნობილ კოლხურ ღიაღემებს (2, გვ. 32).

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გერიტორიაზე დღესდღეობით აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს X-IX სს- VI-V სს. მიეკუთვნება.

მათგან ყველაზე ადრეულია გაგრისა და გვანდრიფშის ქვევრსამარხები (ძვ. წ. X-IX სს) (3, გვ. 20). ამ დროიდან ჩნდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გერიტორიაზე თხელი ფირფიტოვანი სადა სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით და პაგარა ცილინდრული ფორმის სამაჯურები. მათთან ერთად, ჯერ კიდევ ხმარებაშია სასაფეთქლე რგოლები, ბიკონუსური მძივები და დაბალკონუსური აბზინდები.

ძვ. წ. IX-VIII სს. თარიღდება პრიმორსკოეს, აჭანდარას, ახალი ათონის, იაშთოხვას, მუგუძირხვას სამაროვნები (3, გვ. 13), სადაც პირველად ჩნდება მასიური ბრინჯაოს თავებჩახვეული საკისრე რგოლები, შესქელებულრკალიანი ფიბულა, ბრინჯაოს რგოლები, ღუმისებური აბზინდები. მათთან კვლავ გვხვდება შუაბრინჯაოს პერიოდის ნივთები: ბიკონუსური, სპირალური ხვიები, სათვალისებური აბზინდები.

ძვ. წ. VIII ს. თარიღდება წითელი შუქურის N 62, 89 სამარხები (13, გვ. 89), გემო ეშერას სამაროვანი (7, გვ. 18). ასევე აჭანდარას, შუბარას და აბგარხუკის სამაროვნები (14, გვ. 28), სადაც გვხვდება

ოდნავ გრეხილრკალიანი, თავებჩახვეული საკისრე რგოლები, რომლებიც ერთგვარ შუალედურ ჯაჭვს წარმოადგენს მასიურ ბოლოებჩახვეულ და გრეხილრკალიან რომბულთავიან საკისრე რგოლებს შორის. გვხვდება ორნამენტირებული ფიბულები და სწორკუთხა აბზინდები...

ძვ. წ. VIII-VII სს. თარიღდება ყელანურხვას (N 2, 3, 6, 7, 8, 11) ორმოსამარხები (12, გვ. 53), ყულანურხვას ზოგიერთი ქვევრსამარხი, წითელი შუქურას (N 10, 16, 23, 30, 33-ა, 35, 34, 38, 39, 42, 43, 49, 52, 58, 59, 64, 67, 76, 92, 91, 99, 104) (13, გვ. 90) და გუადისუს (N 4, 11, 14, 19, 25, 26, 28) სამარხები; ქვემო ეშერას, გყვარჩელის, ჩობანლუქის, ეშერის ნაქალაქარის გერიგორიის სამარხები, ეშერის ქვევრსამარხი და ბამბორის ველის სამაროვნები (9, გვ. 89). ამ დროიდან სმარებაში შემოდის მასიური ცილინდრული ფორმის და სპირალურთავიანი სამაჯურები, კონუსური ბალთები ცხოველების სკულპტურული გამოსახულებით, ლენტისებრფირფიგოვანი და ოვალური ფორმის ბურცობებიანი სამაჯურები, ორნამენტირებული პინცეტები, უმბონისებრი და ოვალური აბზინდები, რომბულრკალიანი და გრეხილრკალიანი ფიბულები, ჯერისებრი საკიდები და H-ს მსგავსი ქინძისთავეები. წითელი შუქურას N 31, 44, 65, 68, 69 სამარხები ღარიბულია და მუსგ დამათარიღებელ ნივთებს არ შეიცავს. ამიგომ სარგყლების განხილვის დროს ისინი ზოგადად ძვ. წ. VIII-VII სს. მივაკუთვნეთ (3, გვ. 11).

ძვ. წ. VII ს-ით თარიღდება ააგსგის, ყულანურხვას N 1, გუადისუს N 6 სამარხები (12, გვ. 49), სადაც ჩნდება მურბლისებრი და ჭვირული ფიბულები, სარდიონის მძივები. ძვ. წ.-ის VII-VI სს-ის მიჯნას მიეკუთვნება სოხუმის მთის კრემაციული სამარხები, გუადისუს (N 6, 8, 9, 12, 18, 21, 23, 28, 29), წითელი შუქურას (N 3, 6, 8, 12, 18, 29, 22, 24, 29, 47, 82, 84, 89) და ყულანურხვას სამარხები (13, გვ. 94), ასევე გუდაუთის, ზემო ეშერას და ბამბორის ველის სამაროვნები. ამ პერიოდიდან გვხვდება გრეხილრკალიანი, რომბულთავიანი საკისრე რგოლები, ჭვირული ქინძისთავეები, ჭვირული და ოვალურფირფიგოვანი ცხოველსახეთავიანი სამაჯურები, საყურეები ცხოველების გამოსახულებით, ფირფიგოვანრკალიანი ფიბულები, ცილინდრული გვერდწაჭრილი და კონუსური ფორმის ზარაკები.

ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება იაშთხვას N 1, 2 (15, გვ. 76), წითელი შუქურას N 4, 5, 26, გუადისუს N 15, 18, 25 სამარხები (13, გვ. 78) და კისტრიკის სამაროვნის ზოგიერთი სამარხი, სადაც გვხვდება გველისებრთავიანი და გრეხილრკალიანი სამაჯურები, წახნაგოვანრკალიანი ფიბულა.

12. Øðàr ø Ì.Ì. Øðóáú I, Ñóóóìè, 1970.
13. Øðàr ø Ì.Ì. Øðóáú II, Ñóóóìè, 1969.
14. Øàìáà Ã. Àðóá ïéîãè÷ãñêèá ïèðèùòèý á Ááóàçèè 1980 á Óáèèèñè, 1982.

N. Dolidze

Some chronological issues of north-west Colchis cemeteries (based on metallic adornments).

Summary

During the north-west Colchis Late Bronze Early Iron Age period we meet collective and individual burials. They are represented by two types: pit-tupes and jar burials (ossuaries). In the first types we find various forms of burials in which we find 3 kinds of internments: inhumation, cremation and second-time burials. By our observations the form of burial corresponds mostly to definite method of internment: long and oval pit-type internments are mostly inhumation; in the square types there are full or partial cremations; in oval-types however there are second time internments. This last method (second time internment) is inherent mostly in jar burials of the second kind (type).

The north-west Colchis is one of the regions of common Colchis culture, where in discovered cemeteries there are plenty not only military and agricultural tools but also abundant adornments. Guided by a variety and abundance of adornments we made new interpretations and overdating of some of them. Typological and chronological table was elaborated; diffusion area was determined; issues of relations with neighboring archaeological culture was defined and by this partial picture of development of Colchis culture and its local variations was defined.